



საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება

2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.¹

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება 2021 წლის 5 ივლისის თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის შედეგად ჟურნალისტებისა და მოქალაქეების ჯანმრთელობის დაზიანებისა და შეკრებამანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების საკითხი.

2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე, მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდება წარედგინა 27 პირს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ არის დაწყებული 2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით. მათ შორის,

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არის ცნობილი სისხლის სამართლის საქმის მასალები. შესაბამისად, აღნიშნული წინადადება მომზადებულია მედიით გავრცელებული ვიდეომასალისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

ორგანიზებისთვის ბრალდება ამ დრომდე არ წარდგენია ზურაბ მახარაძეს. ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ნიშნები არც სხვა პირთა ქმედებებშია შეფასებული.

ფაქტობრივი გარემოებები

როგორც მედიით გავრცელებული ვიდეომასალებიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან² იკვთება, 2021 წლის 5 ივლისს თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოძრაობა „სირცხვილიას“ და სამოქალაქო გაერთიანება „თბილისი პრაიდის“ ოფისში, ასევე სხვადასხვა ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მოქალაქეების მიერ სხვადასხვა ჯგუფებისა და ჟურნალისტების მიმართ ჯგუფური ძალადობის ჩადენის ფაქტს, რის შედეგადაც სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს მოქალაქეებმა, არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უფლებით, დაზიანდა სხვადასხვა პირის კუთვნილი ნივთები და ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 5 ივლისის ჯგუფური ძალადობის ფაქტზე დაზარალებულად იქნა ცნობილი 53 პირი და სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული 27 პირის მიმართ.³ თუმცა, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

გამოცემა „პუბლიკა“-ს მიერ გავრცელებული სიუჟეტიდან,⁴ რომელიც მოპოვებული უნდა იყოს გამოძიების მიერ და უნდა წარმოადგენდეს საქმის მასალებში არსებული ვიდეო-ჩანაწერების კომპილაციას, იკვთება, რომ არსებობს ფაქტობრივ გარემოებათა საკმარისი ერთობლიობა ხსენებული დანაშაულის ორგანიზატორ პირთა მიმართ ბრალდების წასაყენებლად.

სიუჟეტიდან იკვთება, რომ 5 ივლისის მოვლენებამდე - 19 ივნისს, 21 ივნისს, 23 ივნისს - მოქალაქე ზურაბ მახარაძე და სხვა პირები (მათ შორის, შოთა მარტინენკო და კონსტანტინე მორგოშია) აცხადებენ, რომ 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ დაგეგმილი ღონისძიება ვერ ჩატარდება, შეიკრიბებიან და მოახდენენ შესაბამის მობილიზებას. ამავე სიუჟეტში მოქალაქე ზურაბ მახარაძე ასევე მიუთითებს რომ „ეგენი რომ ვერ გაივლიან, მაგის დაორგანიზებას ჩვენ ვაკეთებთ“.⁵ ამავე სიუჟეტში ზურაბ მახარაძე ასევე აცხადებს, რომ ძალადობა შეიძლება, მიანიშნებს 2013 წლის 17 მაისს განხორციელებულ ძალადობაზე და აცხადებს, რომ „ზუსტად ასე შეიძლება და ... უარესადაც იქნება“.⁶ აქვე უთითებს მობილურის ნომერზე ეკრანზე და მოუწოდებს მაყურებელს გააგზავნონ აღნიშნულ ნომერზე სმს შეტყობინება საორგანიზაციო ჯგუფებში რეგისტრირების მიზნით, რომ 5

² 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

³ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

⁴ <https://www.facebook.com/publika.ge/videos/2693540917616640/>

⁵ იქვე, 3:28 წუთი.

⁶ იქვე, 3:45-3:49 წუთი.

ივლისს „ერთად გადაამტვირთონ“ ალლუმი, „მოძალადის სტატუსზე, ხალხი ვინც გამოხვალთ, პრობლემა კი არა აქვთ, ტაბურეტკა კი არა, რაც ხელში მოხვდებით, ძალადობას არათუ ვემიჯნები, ვემხრობი და თქვენც მოგიწოდებთ, გავიდეთ და ვიძალადოთ“, „ძალადობას ვინც ემიჯნება, ის არის არაადამიანი“, „ვინც გამიჯვნას აპირებს ძალადობისგან ეს ხალხი ჩვენთან არ არის“, „2013 კი არა, ამათ უნდა მოვუწყოთ 2013 კვადრატში“ და ა.შ.⁷ ზურაბ მახარაძე და კადრში მყოფი სხვა პირები არ გამორიცხავენ მათი შეხედულებების ადამიანის ციხეში მოხვედრის შესაძლებლობასაც და აცხადებენ, რომ ემზადებიან ხუთისთვის და ექნებათ კოორდინაცია, მომხრეებს ელოდებიან 5 ივლისს დილის 10 საათიდან ქაშუეთის ეკლესიის უკან, 9 აპრილის ბაღში.⁸

აქვე, ზურაბ მახარაძე მიანიშნებს, რომ ძალადობა მისაღებია ჟურნალისტების მიმართაც - „ხომ არ არის დასაშვები ასეთი ჟურნალისტების წიხლის ქვეშ გაგდება?“, „ხომ არ არის ამათი სახით ასფალტზე თრევა სწორი?“, „რამდენი ქუჩაში გამოვა, ეგრე რომ..“. აქვე ის აზუსტებს, რომ ამ ფრაზების კითხვის ფორმით ჩამოყალიბებას განაპირობებს მხოლოდ ის, რომ „ალტ-ინფოს“ მიმართ სამართლებრივი ღონისძიება არ გაატაროს მარეგულირებელმა ორგანომ კანონსაწინააღმდეგო მოწოდების განხორციელების გამო.⁹

10:46 საათზე ზურაბ მახარაძე მოუწოდებს მოქალაქეებს საკანონმდებლო ორგანოს წინ დადგმული საპროტესტო კარვების გატანისკენ.¹⁰ 10:50 საათზე¹¹ ჩნდება შავმაისურიანი პირების მიერ პარლამენტის წინ დადგმული კარვების დაშლისა და დაზიანების კადრები. ამავდროულად, ზურაბ მახარაძე მათ მოუწოდებს „გაიტანეთ ეს ნაგავი აქედან“ და მის მოქალაქეებიც მისი მოწოდების შესაბამისად მოქმედებენ.

ვიდეოსიუჟეტის 11:02 წუთზე შავმაისურიანი მამაკაცი (სავარაუდოდ, კონსტანტინე მორგოშია) მოუწოდებს, რათა 500-600 კაცი გემოეყოს შეკრებილებს და დაიდრას მათი ოფისისკენ (სიუჟეტზე გაკეთებული წარწერის თანახმად, „სირცხვილიას“ ოფისის მიმართულებით). შემდეგ, ვიდეოსიუჟეტის 11:23 წუთიდან კადრში ჩნდება წარწერა „ლაპარაკობს ზურაბ მახარაძე“ და ისმის მამაკაცის (სავარაუდოდ, ზურაბ მახარაძის) ხმა, რომელიც მოუწოდებს, რომ 500 კაცზე მეტი არ გაყვნენ და „საბრძოლველად მიდიან“ (ვიდეოსიუჟეტის 11:55 წუთი).

12:30 საათზე (ვიდეოსიუჟეტის 12:27 წუთზე) მოქალაქე ზურაბ მახარაძე, მოუწოდებს 200 კაცს გაყვნენ ვინმე „ბატონ დიმიტრის“ (მიუთითებს მის გვერდზე მდგომ მამაკაცზე), ფილარმონიის მიმართულებით და „მიეხედება ქათმებს, ქათმების საბლატაო თბილისი და საქართველო აღარაა“ (ვიდეოსიუჟეტის 12:27-12:34 წუთი). შემდეგ გრძელდება ჩანაწერში მამაკაცის ხმა, რომელიც მიმართავს შეკრებილ პირებს, რომ იომებენ, იბრძოლებენ, სისხლსაც დაღვრიან. სიუჟეტში 13:08 წუთიდან (წარწერის თანახმად, 13:00 საათზე) ისმის უკვე აგრესიული მოწოდებები ჩამოხსნან დროშა, შემდეგ კი კადრებში ჩანს რამდენიმე

⁷ იქვე, 3:55-5:48 წუთი.

⁸ იქვე, 6:19-8:01 წუთი.

⁹ იქვე, 1:00-1:1:13 წუთი.

¹⁰ იქვე, 9:27 წუთი.

¹¹ იქვე, 9:51-10:45 წუთი.

პირი, რომლებიც აივნებიდან ადიან ააიპ „თბილისი პრაიდის“ აივანზე და ანადგურებენ „ცისარტყელას“ ბანერსა და დროშას, შემდეგ კი შედიან კარებში.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ან ხელმძღვანელობის დასჯადობას, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ან ხელმძღვანელობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკის მიხედვით, ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს „ისეთი პირიც, რომელიც არის დანაშაულის ინიციატორი, რომელიც, ამასთანავე, შესაბამის განკარგულებებსა და მითითებებს იძლევა საერთო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების - შემსრულებლების მიმართ და აკონტროლებს დანაშაულის ჩადენის პროცესს. არის ისეთი დანაშაულებიც, რომელთა ჩადენას არ სჭირდება წინასწარი ხანგრძლივი მომზადება, დაგეგმვა, ცალკეული მონაწილის კონკრეტული მოქმედების აუცილებელი შეთანხმება ორგანიზატორთან ან ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენის ადგილზე განსახორციელებელი ქმედებების ხასიათისა და მათი აღსრულების წვრილმანი დეტალების განსაზღვრა“.¹²

აღნიშნული განმარტება მიემართება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ორგანიზატორს,¹³ რომელიც ფუნქციური დანიშნულებითა და სამართლებრივი არსით იდენტური პირია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენ პირთან - ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორთან - მოცემულ შემთხვევაში კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმა (24-ე მუხლის პირველი ნაწილი) მოცემულ მუხლში (225-ე მუხლის პირველი ნაწილი) კრიმინალიზებულია, როგორც კონკრეტული დანაშაულის (ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა ან ხელმძღვანელობის) ცალკე შემადგენლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.¹⁴

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი კი სისხლის სამართალში ყველაზე დაბალი მტკიცებულებითი სტანდარტია და გულისხმობს იმ ფაქტების ან ინფორმაციის

¹² 2019 წლის 31 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმე N827აპ-18 ს-ი-მ-ლ-827აპ-18.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.“

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 169.

ერთობლიობას, რომელიც საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.¹⁵

წინამდებარე საქმის ანალიზი

აღნიშნული ვიდეოსიუჟეტიდან იკვეთება, რომ 2021 წლის 5 ივლისს განხორციელებული ჯგუფური ძალადობა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევა ორგანიზებული იყო მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიერ. ამავე ჩანაწერიდან გამომდინარე, ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორები ასევე არიან სხვა პირებიც.

როგორც „პუბლიკა“-ს მიერ გავრცელებულ წარმოდგენილი ვიდეოსიუჟეტიდან იკვეთება, მოქალაქე ზურაბ მახარაძე და სხვა პირები, 2021 წლის ივნისის თვეში, 19, 21 და 23 ივნისს ეთერში აღნიშნავდნენ, რომ „თბილისი პრაიდსა“ და მის მხარდამჭერებს არ მისცემდნენ შესაძლებლობას 2021 წლის 5 ივლისს ჩაეტარებინათ დაგეგმილი ღონისძიება და ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უფლებით. რა მიზნითაც მოახდენდნენ მოქალაქეების მობილიზებას, მათ შორის, ინფორმირებას, ფეისბუქ კამპანიასა და რეგიონებიდან მათი ტრასპორტირების ორგანიზებას. ასევე მიმართავენ მხარდამჭერებს, სმს შეტყობინება გააგზავნონ ეკრანზე მითითებულ მობილურ ნომერზე „რეაგირების ჯგუფებში“ ჩაწერის სურვილით, რომ ძალადობის გამოყენებით ერთად არ მისცენ ლგბტქ+ პირებს 2021 წლის 5 ივლისს შეკრება-მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ამავე მიმართებებში, ზურაბ მახარაძე ცალსახად, მრავალჯერ განმარტავს, რომ „რეაგირების ჯგუფები“ დააორგანიზებენ ძალადობებს, ხოლო პირები, ვისაც მათთან შემოერთების სურვილი აქვთ, არათუ გაემიჯნონ, არამედ უნდა შეუერთდნენ აღნიშნულ ძალადობას. ასევე ზურაბ მახარაძე აცხადებს, რომ მათ მიერ 2021 წლის 5 ივლისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოხდება შესაბამისი ჯგუფების კოორდინაცია, ადგილზე იქნებიან საორგანიზაციო ჯგუფის წევრები, რომელთაც ექნებათ განმასხვავებელი ნიშნები და წინასწარ იქნებიან აღჭურვილი საკომუნიკაციო საშუალებებით, ექნებათ ონლაინ კავშირი და თუ რომელიმე ლოკაციაზე მოხდება ლგბტქ+ პირების ღონისძიების გამართვა, მოხდება საკოორდინაციო ჯგუფების მითითებულ ლოკაციაზე გადაადგილება მათთვის ხელის შეშლის მიზნით.

ამასთან, სატელევიზიო ეთერით 5 ივლისამდე განხორციელებული მოწოდებებიდან იკვეთება, რომ ძალადობის ორგანიზება მიემართება როგორც ლგბტქ+ ადამიანებსა და „თბილისი პრაიდს“ მიერ დაორგანიზებულ ღირსების მარშში მონაწილე პირებს, არამედ - სავარაუდოდ ჟურნალისტებსაც.

ამავე ვიდეოსიუჟეტის თანახმად, მოქალაქე ზურაბ მახარაძე მის მიერ ორგანიზებულ ჯგუფებს მოუწოდებს პარლამენტის სასახლის წინ დადგმული საპროტესტო კარვების გატანისკენ, რასაც, სიუჟეტში მოყვება ადამიანთა ჯგუფების მიერ აღნიშნული კარვების

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 11.

განადგურება და დაზიანება. კარვების დაზიანების პარალელურად, მოქალაქე ზურაბ მახარაძე ადგილზე აგრძელებს მოწოდებას კარვების გატანისაკენ.

ამავე ვიდეოსიუჟეტზე არსებული წარწერის თანახმად, მოქალაქე ზურაბ მახარაძე მოუწოდებს 500-600 კაცი გაყვეს „მომრაობა სირცხვილიას“ ოფისთან, რის შემდეგაც, სიუჟეტში ჩანს „სირცხვილიას“ ოფისის მიმდებარე ტერიტორია და იქ მყოფი პირებს შენობაში შესვლა. მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ლოკაციაზე ძალადობას ჰქონდა ადგილი „ტვ პირველის“ ჟურნალისტ მირანდა ბადათურიასა და ოპერატორ ალექსანდრე ლაშქარავას მიმართ. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული პირები ცნობილ იქნენ დაზარალებულებად.¹⁶

ამავე ვიდეოსიუჟეტის თანახმად, მოქალაქე ზურაბ მახარაძე ასევე მოუწოდებს შეკრებილ პირებს 200-300 კაცი გაჰყვეს „ბატონ დიმიტრის“ ფილარმონიასთან, „თბილისი პრაიდის“ ოფისთან. რის შემდეგაც ადგილი ჰქონდა „თბილისი პრაიდის“ ოფისის შენობაში რამდენიმე პირის აივნებიდან გადასვლასა და ბანერისა და დროში დაზიანებას. საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „თბილისი პრაიდი“ ცნობილია დაზარალებულად.¹⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიერ 2021 წლის 19, 21, 23 ივნისსა და 5 ივლისს, როგორც წინასწარ, ასევე უშუალოდ ადგილზე, მოწოდებული, დაგეგმილი და ორგანიზებული ქმედებების შედეგად ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა მრავალწევრიანი ჯგუფების მხრიდან სხვადასხვა ლოკაციაზე ჯგუფური ძალადობის განხორციელებასა და მოქალაქეებისა და ჟურნალისტების ჯანმრთელობის დაზიანებას.¹⁸

შესაბამისად, „პუბლიკა“-ს მიერ გავრცელებული ვიდეოსიუჟეტიდან იკვეთება, რომ მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიერ ადგილი ჰქონდა 2021 წლის 5 ივლისისთვის ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას, კერძოდ, ძალადობის განმახორციელებელი პირების მოძიების, მათი კოორდინაციისა და გადაადგილების ორგანიზებას, ასევე, კონკრეტულ ეპიზოდებში ძალადობრივი ქმედებების განხორციელებისაკენ მოწოდებასა და ხელმძღვანელობას, რითაც ჩაიდინა სავარაუდო დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით.

¹⁶ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

¹⁷ 2021 წლის 22 ივლისის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/44599 წერილი.

¹⁸ „სირცხვილიას“ ოფისის ტერიტორიაზე „ტვ პირველის“ ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ განხორციელებული ძალადობის ეპიზოდი, ასევე 5 ივლისს განხორციელებული ჯგუფური ძალადობის შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 52 მოქალაქე, ნივთის დაზიანება-განადგურებას (პარლამენტის სასახლის წინ საპროტესტო კარვების განადგურება და დაზიანების ეპიზოდი, „თბილისი პრაიდის“ ოფისზე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდი), შეკრება-მანიფესტაციის უფლების დარღვევას („თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი ლგბტქ+ ადამიანების ღირსების მარშის მსვლელობის ჩაშლის ეპიზოდი), ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლასა (5 ივლისს განხორციელებული შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 47 ჟურნალისტი) და სხვა ძალადობრივ ქმედებებს.

დასკვნა

შესაბამისად, „პუბლიკა“-ს მიერ გავრცელებული ვიდეოსიუჟეტიდან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იკვეთება, რომ მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიერ ადგილი ჰქონდა 2021 წლის 5 ივლისისთვის ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ხელმძღვანელობის ჩადენას, სავარაუდო დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გარდა მოქალაქე ზურაბ მახარაძისა, 2021 წლის 5 ივლისისათვის ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ხელმძღვანელობაში შესაძლოა ასევე მონაწილეობდნენ ვიდეოსიუჟეტში მასთან ერთად ეთერში მყოფი სხვა პირებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრებისათვის შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მყისიერი საფუძველი.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით:

1. მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ დაიწყეთ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ჩადენის ბრალდებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით;
2. საგამოძიებო ორგანოს მიეცეს მითითება და ჩატარდეს „პუბლიკა“-ს მიერ გავრცელებული ვიდეოსიუჟეტში ასახული ვიდეომასალის სრულად მოპოვება და სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი დამაგრება, იმ შემთხვევაში თუ ეს ამ დრომდე არ განხორციელებულა;
3. გამოძიებამ იმსჯელოს ზურაბ მახარაძესთან ერთად სხვა პირების მიერ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ჩადენის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით, და ჩატარებულ იქნეს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,



ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

